



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამუნიციპალიტეტული ეროვნული კომისია

გ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №28/5

2021 წლის 24 ივნისი

ქ. თბილისი

შპს „ჯიფაურის“ მიერ წარმოდგენილი ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება

2021 წლის 9 ივნისს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (შემდგომში – კომისია) შპს „ჯიფაურმა“ წარმოადგინა №3001225 წერილი და მოითხოვა მას და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს“ შორის 2021 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდზე ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეთანხმება.

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და „ელექტროენერჯის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 30 ივლისის №14 დადგენილებით დამტკიცებული „გარანტირებული სიმძლავრის საფასურის, გარანტირებული სიმძლავრის წყაროს ელექტროენერჯის წარმოებისა და ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ 14¹ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გ ა დ ა ო ყ ვ ი ტ ა:

1. შეთანხმებული იქნეს შპს „ჯიფაურის“ მიერ 2021 წლის 9 ივნისის №3001225 წერილით კომისიაში წარმოდგენილი შპს „ჯიფაურისა“ და შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს“ შორის გაფორმებულ 2018 წლის 5 დეკემბრის №GP 01-12/19 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ 2021 წლის 4 ივნისის შეთანხმება, 2021 წლის ივლისი-სექტემბერში ბუნებრივი გაზის შესყიდვის შესახებ.
2. კომისიის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს ხელშეკრულების ფასის, ანგარიშსწორების პირობების და მოქმედების პერიოდის გამოქვეყნება კომისიის ვებ-გვერდზე (www.gnerc.org).

3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში.
5. გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

